0:0

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 16 აპრილი.

ცსკა – “დინამო” (თბილისი) 0:0.

ცსკა: ასტაპოვსკი, საუხი, შვეცოვი, კოლპოვსკი, ოლშანსკი, მოროზოვი (კუზნეცოვი, მე–60 წუთი) ჩესნოკოვი, კოპეიკინი (პანტელეევი, 78–ე წუთი), ტარხანოვი, ნაზარენკო, ნიკონოვი.

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე (შენგელია, 68–ე წუთი).

მსაჯი: ი. სერგიენკო (ხარკოვი).

გაფრთხილებული არიან შვეცოვი და გუცაევი.

დუბლიორები – 1:0 არმიელთა სასარგებლოდ. გოლი გაიტანა დუბინინმა.

ეს მატჩი მხატვრის დაუმთავრებელ ტილოს ჰგავდა: ორივე ტაიმის განმავლობაში მეტოქეები სულ ერთმანეთს უტევდნენ, მაგრამ მცველთა ორგანიზებული, თავდადებული და გონივრული თამაშის შედეგად საიერიშო კომბინაციების გოლით დაგვირგვინება ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო.

სტუმრებს ამ მატჩში ბედი არ სწყალობდათ, ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმზე ითქმის, როცა თბილისელები მეტწილად არმიელთა კარის აღების ცდაში იყვნენ. განაპირა მცველებმა ჭილაიამ და ხიზანიშვილმა, აგრეთვე, შუა ხაზის მოთამაშეებმა ბევრჯერ წამოიწყეს შეტევა, მაგრამ არმიელთა დაცვა და მეკარე ასტაპოვსკი ახერხებდნენ ამ მეტად საშიში, მასირებული იერიშების მოგერიებას. არანაკლები ჯაფა დაადგათ თბილისელ მცველებსაც, რომელთა თამაშსაც კარგად წარმართავდნენ სტოპერები ხინჩაგაშვილი და ქორიძე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტუმრებმა შესამჩნევად შეზღუდეს არმიელების – ტარხანოვისა და კოპეიკინის აქტიური მოქმედება. კვლავ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ საქმე ბევრჯერ მივიდა კარის აღებამდე, მაგრამ გოგიაც და ასტაპოვსკიც ჩინებულად თამაშობდნენ.

წლევანდელ ჩემპიონატში თბილისელთა სამივე მატჩი ვნახე. უნდა ითქვას, რომ ამჯერად დინამოელთა მცველებმაც და შუა ხაზის მოთამაშეებმაც საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინეს. მაგრამ გულახდილად ვიტყვი იმასაც, რომ ამჯერად დინამოელთა თავდამსხმელებისაგან მეტს მოველოდი. და მაინც, ფაქტია, რომ თბილისელები სულ უკეთ და უკეთ თამაშობენ. ეს იმედს გვაძლევს, რომ წლევანდელ სეზონში დინამოელთა არაერთი საუკეთესო მატჩის მოწმე ვიქნებით.

ს. პავლოვი (ჩვენი კორ.).
“ლელო”, 19 აპრილი, 1977 წ.